პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSYA GRUZINSKOY SSR

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 14 იანვარი, 1949 წ. № 10 (8313). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საინფორმაციო ცნობა — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი—მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოსავლის განაწილებისათვის მზადება მეტ ყურადღებას მოითხოვს (მე-4 გვერდი).

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა რეგისტრაცია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის შესახებ

1949 წლის 11 იანვარს შედგა 1-ლი პლენუმი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა, რომელიც არჩეულია თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.**

ერთხმად არიან არჩეულნი: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად—ამხ. **გ. ნ. ზამბახიძე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მესამე მდივნად—ამხ. **ე. ი. ჩერქეზია** და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნებად—ამხანაგები **თ. ნ. ქვლივიძე** და **ა. პ. ჯიშიაშვილი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები: კ. ნ. ჩარკვიანი, გ. ნ. ზამბახიძე, მ. ვ. ლელაშვილი, ე. ი. ჩერქეზია, თ. ნ. ქვლივიძე, ა. პ. ჯიშიაშვილი და ვ. ვ. ბარბაქაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები ბ. ი. ლელინი და გ. დ. ჟორჟიკაშვილი.

სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი

შარშან საქართველოს სოფლის მშრომელებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს უხვი მოსავლის მოყვანისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში. კოლმეურნეობათა სამდიდრისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის მნიშვნელოვანი ზრდა ცხადყოფს სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელძღვანელობის გაუძჯობესებას. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის შარშანდელი ფულადი შემოსავალი 11 მილიონ მანეთზე მეტია. აქ თვითეულ შრომადღეზე განაწილდება ფულად 26 მანეთი და 5 კილოგრამი მარცვლეული. ჭობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა შრომადღეზე გასცემს 46 მანეთს და 2,5 კილოგრამ მარცვლეულს. 1947 წელთან შედარებით ორჯერ გადიდდა თელავის რაიონის სოფელ კურდღლაურის 26 კომსომოლის სახელობის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. ჭობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა აიმე ყიფიანაძემ შარშან თავისი ოჯახის წევრებთან ერთად გამომუშავა 2.120 შრომადღე და საკარმიდამო ნაკვეთიდან სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ციტრუსოვანთა ნაყოფის საფასურის ჩათვლით მისი წლიური შემოსავალი 82.280 მანეთსა და 7 ტონა მარცვლეულს შეადგენს. ეს კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის მრავალიდან ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტია.

სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან. კოლმეურნეობებში იწყება მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება. საჭიროა მათ უზრუნველყონ კოლმეურნეობებში შრომის სწორი ანაზღაურება, რაც ხელს შეუწყობს საგაზაფხულო თესვისათვის სანმეშოდ მომზადებას, კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ შეიცავს შრომის სწორი ანაზღაურების პრინციპებს. ახალი წესის მიხედვით კოლმეურნეობებმა შემოსავალი უნდა განაწილონ ბრიგადის მიერ მოწეული მოსავლის გათვალისწინებით, ხოლო ბრიგადებში რგოლების მიერ მოწეული მოსავლის გათვალისწინებით. განაწილების ასეთი პრინციპი იმას გულისხმობს, რომ იმ ბრიგადებისა და რგოლების წევრებმა, რომლებმაც უფრო დიდი მოსავალი მოიყვანეს, მიიღონ შესაბამისად უფრო მაღალი ანაზღაურება და, პირიქით, იმ ბრიგადებისა და რგოლების წევრებმა, რომლებმაც მცირე მოსავალი მოიყვანეს, თავიანთი შრომისათვის ნაკლები ანაზღაურება მიიღონ. ასეთი ღონისძიების გატარება არის საფუძველი შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების აღკვეთისა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რჩევა მისცა კოლმეურნეობებს უწინარეს ყოვლისა ბრიგადებსა და რგოლებში შემოღღონ შრომადღეების დარიცხვა და განაწილება თვითეული ბრიგადისა და რგოლის მიერ გეგმით დაწესებული მოსავლის შესრულების მიხედვით. ბრიგადასა და რგოლს, რომელმაც მისთვის მიმაგრებულ კულტურაზე ან ერთგვაროვან კულტურათა ჯგუფზე გადამეტებით შეასრულა მისთვის დაწესებული მოსავლის მეიტების გეგმა, გეგმის გადამეტებით შესრულების თვითეული პროცენტისათვის დამატებით დაერიცხება შრომადღეების ერთი პროცენტი. ბრიგადას და რგოლს, რომელმაც ძიმაგრებულ კულტურაზე ან ერთგვაროვან კულტურათა ჯგუფზე ვერ შეასრულა მისთვის დაწესებული მოსავლის მეიტების გეგმა, გეგმის შესრულებაზე დაკლებული თვითეული პროცენტისათვის ჩამოეწერება ერთი პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს შრომადღეების 25 პროცენტისა.

ამასთან ერთად, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, კოლმეურნეობის კონკრეტული საწარმოო პირობების გათვალისწინებით, ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის შედეგები შეიძლება შეფასებულ იქნეს არა იმის მიხედვით, თუ რამდენად შესრულებულია მათთვის დაწესებული გეგმა, არამედ საშუალოდ კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გეგმის შესრულებასთან შედარებით. მთავრობის 19 აპრილის დადგენილებაში მოცემულია ამ შემთხვევაში შრომადღეების დარიცხვისა და ჩამოწერის წესი.

ცხადია, რომ საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება დიდ მოსაზრებელ მუშაობას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ზოგან ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა. გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებაში“ საკმაოდ არ იყენებენ ჭარელ-ჯგუფურ და ინდივიდუალურ სანარდო სისტემას, შრომის სანარდო ანაზღაურების მაგიერ ხშირად გამოყენებულია დღიური ანაზღაურება. ამ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არის ზედმეტი თანამდებობანი, რის გამო იფლანგება შრომადღეები. თელავის რაიონის სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში არ ჩქარობენ შრომადღეების შეჯამებას. ასეთ ნაკლოვანებებს სხვა რაიონებშიც შეეხდებიან. ამ მდგომარეობის სასწრაფო გამოსწორება და წლიური ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ კოლმეურნეობებში ნატურალური და ფულადი შემოსავლის საბოლოო და სწორად განაწილება დიდი მნიშვნელობის საქმეა.

საჭიროა კარგად მოვამზადოდეს საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებისადმი მიძღვნილი კოლმეურნეთა საერთო კრებები. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა უნდა უამბონ კოლმეურნეებს, თუ რა ღონისძიებანია მიღებული საკოლმეურნეო საკუთრების გასამრავლებლად, შრომადღის ღირებულების ასამაღლებლად.

ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების მიერ დახარჯული შრომადღეების დაზუსტება მოცემულ კულტურაზე ან ერთგვაროვან კულტურათა ჯგუფზე, შრომადღეების დარიცხვა და ჩამოწერა, ანგარიშის გასწორება ტრაქტორისტებთან, კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების განსაზღვრა — ის საკითხებია, რომელთა მოგვარება უმნიშვნელოვანესი პირობაა საკოლმეურნეო შემოსავლის სწორი განაწილებისათვის.

პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწევონ კოლმეურნეობებს მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებაში, კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონის მთლიანად განხორციელების საქმეში.

მტკიცედ დავიცვათ შემოსავლის განაწილების სოციალისტური პრინციპი, დროულად მივცეთ კოლმეურნეებს ხეკრი ფულადი და ნატურალური შემოსავალი, წლის დასაწყისიდანვე შეუპოვრად ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, რომ შაბათს, 1949 წლის 15 იანვარს, საღამოს 8 საათზე ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქუჩა № 4) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია.

დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს ძერჟინსკის სახელობის კლუბში საღამოს 7 საათიდან.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მუშაობა, კაპიტალურ საქუშაოთა და საცალო საერნელბრუნვის მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1948 წელს — ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე წელს — ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

1. მრეწველობა

საქართველოს სსრ მრეწველობის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 1948 წელს შესრულებულია 107 პროცენტით. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში წლიური გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — 109 პროცენტით.

1948 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1947 წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა.

ცალკეულ სამინისტროებსა და საწარმოებში წლიური გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა

	1948 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წელი პროცენტებით 1947 წელთან შედარებით
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	93	130
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	102	114
საქნავთის ტრესტი	84	98
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	109	128
სპილენძსაგლინავი ქარხანა	122	123
საქენერგო	113	109
ხრამჰესი	140	—
ლტოპონის ქარხანა	111	115
კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	108	127
ქარხანა „ცენტროლიტი“	111	112
ქარხანა „დაზგა“	116	128
სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანა	92	112
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	114	128
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	103	163
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	118	187
კასპის ცემენტის ქარხანა	124	130
შიფერის ქარხანა	113	119
ენგურის ქაღალდის კომბინატი	101	109
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	97	136
სართავგ-სატრიკოტაჟო კომბინატი	119	161
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	94	122
აგარის შაქრის ქარხანა	102	105
მარგარინის ქარხანა	105	143
გორის საკონსერვო ქარხანა	149	135
ქუთაისის საკონსერვო ქარხანა	119	124
ბათუმის ციტრუსების კომბინატი	119	108
შამპანური ღვინოების კომბინატი	100,3	89
თბილისის წისქვილკომბინატი	124	176
ფარმქიმქარხანა	95	139
პლასტმასის ქარხანა	130	357

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა

	1948 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წელი პროცენტებით 1947 წელთან შედარებით
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	111	108
მათ შორის:		
ტრესტი „საქართველოს ჩაი“	115	125
სამტრესტი	109	107
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	106	84
საქართველოს ღვინო-ლიმონათის ტრესტი	99	99,2
საქართველოს მიხერალური წყლების ტრესტი	122	150
კვების მრეწველობის სამინისტრო	105	145
მათ შორის:		
საქპურტრესტი	100,3	162
„გლავკონდიტერი“	116	129
საბნის ქარხანა	103	133
ზეთსახდელი ქარხანა	110	103
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	99	110
მათ შორის:		
თბილისის ხორცკომბინატი	108	119
თბილისის მაცივარი	85	97
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	103
მათ შორის:		
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 1	79	67
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 2	104	101
ბათუმის ტყავეულის ქარხანა № 3	101	92
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1	90	133
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2	88	105
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 4	102	100,5
სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა	111	120
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	104	99,1
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	100,9	105
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1	100,3	94
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2	100,7	92
ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა № 4	123	112
ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა № 5	106	111
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7	100,2	128
საგალანტერეო ფაბრიკა	104	105
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	106	112
მათ შორის:		
თბილისის კამეოლ-მატუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“	124	120
ქუთაისის მატუდის ფაბრიკა	109	116
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	101	111
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი	102	120
ბამბის ფაბრიკა	113	99,3
ბამბის სართავი ფაბრიკა	101	100,9
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	104	106
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	104	114
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	103	116
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა	109	110
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	102	134
მათ შორის:		
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	77	101
ბათუმის ფანერის ქარხანა	118	125
თბილისის ავეჯის ფაბრიკა	103	111
მარელისის ავეჯის ფაბრიკა	108	124
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	100,4	149
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	108	116
მათ შორის:		
საბურთალოს აგურის ქარხანა	120	107
ნოსირის აგურის ქარხანა	107	117
საქტეშენიტი (კურსების გრანიტის წარმოება)	114	94
ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშა“	107	111
სურამის კირის ქარხანა	120	103
ცხაკაიას კირის ქარხანა	132	96
სამტრედიის აგურის ქარხანა	137	146
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	106	113
მათ შორის:		
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	110	111
კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა	101	108
ლითონის კონსტრუქციების ქარხანა	113	122
სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა	106	112
მომუშავეების ქარხანა	119	92
საინსტრუმენტო ქარხანა	119	123
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი	112	136
ცელულოიდის ნაწარმის ფაბრიკა	105	114
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	106	112
მათ შორის:		
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	106	113
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	112	112
სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა	103	117
მათ შორის:		
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	101	116
სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის კავშირი	107	120

ცალკეულმა სამინისტროებმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის პროდუქციის გამოშვების გეგმა არ შეესრულებიათ: მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს — ტყავისა და ფეხსაცმლის დარგში; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს — ჰიდროტურბინების, ლურსმნის, საწოლებისა და ნავთქურების დარგში; სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს — დახერხილი მასალისა და ნათალი ფანერის და სამასალე მერქნის გამოტანის დარგში; კვების მრეწველობის სამინისტროს — მაკარონის ნაწარმის დარგში; საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს — ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების დარგში; საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს — წმინდა ბრეშუმის ქსოვილის დარგში; სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს — საშენი მასალების, ლურსმნის, საწოლების, ტყავის, ფეხსაცმლის, შალის ქსოვილის, წინდის ნაწარმისა და ზედა ტრიკოტაჟის დარგში; საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის კავშირს — საშენი მასალების, ლურსმნის, საბნის, ტყავის, ფეხსაცმლისა და სატრიკოტაჟო ნაწარმის დარგში.

1948 წელს სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეთა გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1948 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წელი პროცენტებით 1947 წელთან შედარებით
მარგანეცის მადანი	103	116
ქვანახშირი—სულ	89	122
მათ შორის:		
ტყიბულის	87	124
ტყვარჩელის	97	115
ახალციხის	59	251
ნავთი	81	105
დაფქული გუმბრინი	103	103
დაფქული ბარიტი	106	151
ელექტროენერგია:		
რიონჰესი	106	98
ზაჰესი	104	95
ტყვარჩელის თბოელექტროსადგური	124	126
აწყჰესი	115	116
ხრამჰესი	140	—
სოხუმჰესი	110	—
ლითონსაჭრელი დაზგები	125	136
მათ შორის:		
კიროვის სახელობის ქარხანა	124	109
ქარხანა „დაზგა“	119	146
შრომითი რეზერვების ხამინისტროს სამსხმელო-მექანიკური ქარხანა	150	—
საფეიქრო დაზგები	212	—
ცემენტი	123	127
შიფერი	115	118
აგური (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	100,9	143
კრამიტი (საშენ მასალათა მრეწველობის ხამინისტრო)	100,0	227
კირი (საშენ მასალათა მრეწველობის ხამინისტრო)	106	120
ასანთი (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო)	103	118
დაწებებული ფანერი (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო)	100,8	139

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ებანატაშვილი
1949 წ. 13 იანვარი ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ა. გოგიჩაშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩიაშვილი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ებანატაშვილი
1949 წ. 13 იანვარი ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

	1948 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1948 წელი პროცენტებით 1947 წელთან შედარებით
დახერხილი მასალა (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო)	74	186
სამასალე მერქნის გამოტანა:		
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	92	146
სარეწაო კოოპერაცია	77	150
ქაღალდი:		
ენგურის ქაღალდის კომბინატი	110	119
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა	109	118
შალის ქსოვილი:		
საფეიერო მრეწველობის სამინისტრო	106	111
სარეწაო კოოპერაცია	98	105
ბამბეულის ქსოვილი:		
საფეიერო მრეწველობის სამინისტრო	100,0	108
სარეწაო კოოპერაცია	110	110
გრეჯა	104	110
წინდის ნაწარმი:		
სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი	110	301
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	79	121
სარეწაო კოოპერაცია	86	116
ინვალიდთა კოოპერაცია	70	89
თეთრეული ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	92	128
სარეწაო კოოპერაცია	124	148
ინვალიდთა კოოპერაცია	90	111
ზედა ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	82	115
სარეწაო კოოპერაცია	75	83
ინვალიდთა კოოპერაცია	66	79
ფეხსაცმელი:		
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	92	106
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	96	136
სარეწაო კოოპერაცია	71	94
ინვალიდთა კოოპერაცია	67	76
ქრომის ტყავი (მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	90	90
საწოლები (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო)	91	144
პიანინოები (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო)	114	142
ერმო-კარაქი	90	124
მცენარეული ზეთი (კვების მრეწველობის სამინისტრო)	109	118
ხორცი	90	99,7
კონსერვები	122	124
მაკარონის ნაწარმი	98	121
შაქარი	100,4	111
ჩაი მზა აწონილი	111	107
ყურძნის ღვინო (სამტრესტი)	83	103
პაპიროსი (საგებოვნო მრეწველობის სამინისტრო)	103	109
საპონი:		
კვების მრეწველობის სამინისტრო	103	131
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	117	89
სარეწაო კოოპერაცია	123	138

II. კაპიტალური მშენებლობა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაზე ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით 1948 წელს შესრულებულია 93 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში—91 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში — 114 პროცენტით.

1948 წელს შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1947 წლის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას 11 პროცენტით გადაჭარბა, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში—12 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში — 3 პროცენტით.

III. სოფლის მეურნეობა

1948 წელს მთელმა ნათესმა ფართობმა 30 ათასი ჰექტარით გადაჭარბა 1940 წლის ნათეს ფართობს. 1949 წლის მოსავლისთვის საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით ნაცვლად 1947 წლის 100,6 პროცენტისა.

წარმატებით ჩატარდა სატრაქტორო სამუშაოები: სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა (რბილ ხეზე გადაყვანით) შესრულებულია 114 პროცენტით.

იგივე როგორც 1947 წელს, შაქრის ჭარხლის ამოღება ჩატარდა მთელ დაგეგმილ ფართობზე.

ბამბის კრეფის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით.

თამბაქოს აღებად გეგმის 132 პროცენტი შეადგინა.

1947 წელზე უფრო წარმატებით მიმდინარეობდა ტრაქტორების რემონტი: რემონტის გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით.

1949 წლის გაზაფხულის თესვისთვის მარცვლეულ და პარკოსან კულტურათა სათესლე ფონდების გამოყოფის გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით.

IV. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა

ამიერკავკასიის რკინიგზაზე საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა 1948 წელს შესრულებულია 103 პროცენტით. 1947 წელთან შედარებით ზრდა უფრის 15 პროცენტს. მაშინ, როცა გადაჭარბებით შესრულებულია ნავთის პროდუქტების (198 პროცენტი) და მარგანეცის მადნის (102 პროცენტი) დატვირთვის გეგმა, რკინიგზამ ვერ შეასრულა ქვანახშირის დატვირთვის გეგმა (89 პროცენტი) ტვირთის წარუდგენლობის გამო. ძირითადი ტვირთების დატვირთვამ მნიშვნელოვნად გადაჭარბა 1947 წელს დონეს: ქვანახშირმა — 10 პროცენტით, ნავთის პროდუქტებმა — 42 პროცენტით, მარგანეცის მადანმა— 21 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა 1948 წელს რკინიგზამ 105 პროცენტით შეასრულა. საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვამ 1947 წლის დონეს 15 პროცენტით გადაჭარბა.

V. საქონელბრუნვა

საჭონელბრუნვის გეგმა 1948 წელს მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 93 პროცენტით.

ცალკეულ სისტემათა მიხედვით საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია: ვაჭრობის სამინისტროში—92 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციაში—106 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში—91 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციაში—61 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა ცალკეულ სისტემათა მიხედვით შესრულებულია: ვაჭრობის სამინისტროში—88 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციაში—86 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში—88 პროცენტით და ინვალიდთა კოოპერაციაში—62 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია გაემგზავრა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სხდომაზე

1949 წლის 13 იანვარს მოსკოვიდან პარიზს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სხდომაზე დასასწრებად, გაფრინდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი (ხელმძღვანელი), ლ. ნ. სოლოვიოვი, ს. ნ. როსტოვსკი, ვ. მ. ხაჩატოვი. (საკდენ).

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია

ქამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებების გამო

ამხ. ბ. რობაქიძის სიტყვა

(საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი)

ნორმირებული მომარაგების გაუქმებამ და ფულის რეფორმამ მსუბუქი მრეწველობის წინაშე ახალი, პასუხსაგები ამოცანები დასახეს. საქონრ გახდა წარმოების ტემპის მკვეთრად გაძლიერება, ასორტიმენტის გაფართოება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ტყავეულობის მრეწველობაში ჩვენ მოვახდინეთ ყველაზე უფრო შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, აკეთვისეთ ფეხსაცმლის ლაქის, ფერადი შეეროს, ველიურის, ზამშის გამოშვება. დანერგილია სქელი ტყავის ცალრეის მეთოდი, რამაც დიდად შეამცირა ნარჩენების რაოდენობა. მასალისა და სამუშაო დროის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა მშრალი თრიმლვის მეთოდი.

სამკერვალო ფაბრიკებში დადგმულია დიდძალი სწრაფმოძრავი და სპეციალური მანქანა. წარმოებაშია ტანსამოსის ახალი მოდელები.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ასობით მუშა იყენებს შრომის სტახანოვურ მეთოდებს და ნორმებს ერთიორად და ერთნახევრად ასრულებს. შრომის ნაყოფიერებამ მთლიანად სამინისტროს ბაზით 7 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, ხოლო შარშნდელი წლის გეგმა 102,4 პროცენტით. ზეგეგმითი დაგროვება 1948 წელს შეადგენს 1,5 მილიონ მანეთს.

ამხ. ბ. გოჩაშვილის სიტყვა

(თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე)

საანგარიშო პერიოდში უდიდესი თანხები დაიხარჯა წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად, ქუჩების კეთილმოსწყობად, ტრანსპორტზე, საგზაო და საბინაო მშენებლობაზე. მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა ძირითადი დარგებში წარმატებით სრულდება.

გადიდდა წყალსადენის სიმძლავრე და გაიზარდა ქსელი. და მაინც ქალაქის პოთხოვნილება წყალზე მთლიანად არ არის დაკმაყოფილებული. ქალაქის წყალმომარაგების პრობლემას გადაწყვეტს ბულაჩაურის წყალსადენის ამუშავება. ამისათვის საჭირო იქნება დიდ სამუშაოთა შესრულება წყალსადენის არსებული ქსელის რეკონსტრუქციის მოსახდენად და ახალი ქსელის მოსაწყობად.

უკანასკნელ სამ წელიწადში დიდი მუშაობა ჩატარდა საქალაქო ტრანსპორტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივმა შესამჩნევად გარდაქმნა თავისი მუშაობა.

თვლასაჩინო მუშაობაა გაწეული ქალაქის გზათა და ხიდთა მეურნეობაში. ასფალტ-ბეტონის გამოშვება ერთიორად გადიდდა. უკანასკნელ სამ წელიწადში მოასფალტებული და კაბალტურად შეკეთებულია ერთნახევარ ჯერ მეტი ქუჩა და ტროტუარი, ვიდრე წინა ექვს წელიწადში.

1947 წელს დაიწყო სანაპიროს მშენებლობა მტკვრის მარცხენა ნაპირზე ბარათაშვილის სახელობისა და ელბაქიძის სახელობის ხიდებს შუა. ორ წელიწადში ამ მშენებლობაზე დაბანდებულ იქნა 7 მილიონამდე მანეთი. უახლოეს მომავალში ქალაქის მარცხენა მხარე მიიღებს განთერ კეთილმოწყობილ სატრანსპორტო მაგისტრალს.

უნდა ითქვას, რომ საბინაო მშენებლობის ტემპები მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ჩვენ ცოტას ვაშენებთ, ვაშენებთ ნელა და ძვირად. ბინების ხარისხი ყოველთვის როდი კარგი.

მუშაობა გაუმჯობესა აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მნიშვნელოვნად გადიდდა სამენ ბასალათა წარმოება. აშენდა აგურის ახალი ქარხანა ღრმაოღლეში, ამოშავდა ყირის ქარხანა ძეგვში, ლაქსაღეგების ქარხანა და სხვ. უახლოეს ხანში უნდა შეეუდგეთ აგურის ახალი მძლავრი ქარხნის აგებას, აგრეთვე მექანიზებული საკარიერო მეურნეობის მოწყობას.

ტრესტი „თბილშენი“ უკანასკნელ წლებში გეგმებს ასრულებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ცუდად არის მოწყობილი შრომა საშენებელო მოედნებზე, არ არის მასალების მიწოდებისა და მუშახელით უზრუნველყოფის გრაფიკები, შემოღებული არ არის ბაკადური სისტემა, ცუდად იყენებენ მექანიზმებს, დიდია საშენი ხე-ტყის დანაკარგი. ყოველივე ეს იწვევს იერიშობანას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და გადაჭრით გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება.

ამხ. ვ. კვაჭაშიძის სიტყვა

(კალინინის სახელობის ქარხნის სტახანოველი)

შარშნდელი წლის გეგმა ქარხანამ 101 პროცენტით შეასრულა, ხოლო საამქრომ, რომელშიც მე ვმუშაობ, 7 ნოემბრისათვის დაამთავრა წლიური პროგრამა. ბარადად მე ყოველდღიურ ნორმას 250-300 პროცენტით ვასრულებ.

ჩვენ შეგვეძლო მეტი წარმატებები მოგვეპოვებინა, მაგრამ ხელს გვიშლიდა ზოგი რამ. საამქროს უფროსი ხშირად დადის სხვადასხვა საქმეზე. საამქროში ოსტატი არ არის და მის მოლდინში მუშები ცდებიან. საამქროში უნდა იყოს დამზმარე მუშა, რომელთაც საჭირო მასალა და ნედლეული უნდა მიაწოდოს დაზგას, მაგრამ საამქროს ადმინისტრაციას თავი არ შეუწუხებია იმისათვის, რომ ჩვენ ასეთი მუშა გეყოლოდეს. ამ მუშის ფუნქციებს კვალიფიციური მუშები ასრულებენ, ეს კი ამცირებს მათი შრომის ნაყოფიერებას. უნდა აღინიშნოს, რომ საამქროს მუშების ტექნიკური მომსახურება ცუდად არის დაყენებული, მუშაობა სრულდება უნახავზებოდ, ამასთან ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი. ქარხნის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ საწყობში ყველაფერი წესრიგზე იყოს. ამიტომ დიდი დრო სჭირდება მასალის ძებნას. ყოველივე ეს ერთი შეხედვით თითქოს წვრილმანი ორგანიზაციული მუშეწესლოს მომავალში ქალაქის მარცხენა მხარე მიიღებს განთერ კეთილმოწყობილ სატრანსპორტო მაგისტრალს.

უნდა ითქვას, რომ საბინაო მშენებლობის ტემპები მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ჩვენ ცოტას ვაშენებთ, ვაშენებთ ნელა და ძვირად. ბინების ხარისხი ყოველთვის როდი კარგი.

მუშაობა გაუმჯობესა აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მნიშვნელოვნად გადიდდა სამენ ბასალათა წარმოება. აშენდა აგურის ახალი ქარხანა ღრმაოღლეში, ამოშავდა ყირის ქარხანა ძეგვში, ლაქსაღეგების ქარხანა და სხვ. უახლოეს ხანში უნდა შეეუდგეთ აგურის ახალი მძლავრი ქარხნის აგებას, აგრეთვე მექანიზებული საკარიერო მეურნეობის მოწყობას.

ტრესტი „თბილშენი“ უკანასკნელ წლებში გეგმებს ასრულებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ცუდად არის მოწყობილი შრომა საშენებელო მოედნებზე, არ არის მასალების მიწოდებისა და მუშახელით უზრუნველყოფის გრაფიკები, შემოღებული არ არის ბაკადური სისტემა, ცუდად იყენებენ მექანიზმებს, დიდია საშენი ხე-ტყის დანაკარგი. ყოველივე ეს იწვევს იერიშობანას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და გადაჭრით გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება.

ამხ. ვ. ვასაძის სიტყვა

(რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი)

1948 წლის 16 მარტიდან, მთავრობის დადგენილებით, ყველა თეატრი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. ამან მოითხოვა თეატრების მუშაობის იმგვარად გარდაქმნა, რომ უზრუნველყოფა ახალი შემოქმედებითი აღმავლობა და ამის საფუძველზე შეგვეძლო მტკიცე მატერიალურ-ეკონომიური ბაზა, რაც საჭიროა სახელმწიფო დოტაციის მიუხედავად მუშაობისათვის.

ამ ამოცანის შესასრულებლად რუსთაველის სახელობის თეატრმა განაზორციელა ეთელი რიგი ღონისძიებანი.

თეატრის მუშაობაში უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს გაბედული დაწინაურება ახალგაზრდა მსახიობთა კადრებისა, რომლებმაც გაამართლეს იმედი. თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა ვ. დოლიძემ, ნ. ჩხეიძემ, გ. გეგეჭკორმა, მ. ჩახვამ, თ. თეთრაძემ, გ. კიკნაძემ, ბ. ნიკოლაიშვილმა მაყურებელთა სიყვარული დაიმსახურეს.

თეატრის გადაუდებელი ამოცანაა გააფართოოს რეპერტუარი და მასში შეიტანოს პიესები თანამედროვე თემებზე.

საჭიროა გაძლიერდეს ზრუნვა მსახიობთათვის, უმთავრესად მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენი თეატრის მსახიობებისა და რეჟისორის პროფესიული კულტურის დონე უდავოდ ამაღლდა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოგვინდება, რომ უფრო ავამაღლოთ თეატრალური კულტურა. უამისოდ ძნელი იქნება თავი გავართვათ იმ ამოცანებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა უსახავენ საბჭოთა თეატრს.

ამხ. ბ. ლელინის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში)

პარტიის XVIII საქალაქო კონფერენციის შემდეგ, განვლილი წლები აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალი ზრდით, მკვეთრად გადიდდა თბილისის მრეწველობის ხვედრითი წონა.

ქალაქის ბეჭრმა სამრეწველო საწარმომ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მახვილზე ახალი უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქცია აითვისა. ფართოდ გავრცელდა შრომის მოწინავე მეთოდები. დაინერგა ახალი ტექნიკა. გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები.

ქალაქის ბეჭრი ფაბრიკისა და ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან საწარმოების ეკონომიკას, უფრო მეტ მზრუნველობას იჩენენ პროდუქციის ხარისხისათვის, ვიდრე წინათ.

მაგრამ საერთო მაღალ მიზეზებელთან ერთად, ჩვენ კიდევ გვაქვს ჩამორჩენილი საწარმოები. ქალაქის 16 საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა, მათ შორის ბერიას სახელობის ფაბრიკამ, აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ, ზუსტი ხელსაწყოების ქარხანამ და სხვებმა. იმ 14 საწარმოთა შორის, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმითი დავალება თვითღირებულების შემცირების შესახებ, არიან ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, ხორცკომბინატი. 1948 წლის საწარმოო გეგმა 17 საწარმომ ვერ შეასრულა.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ცუდი სამეურნეო ხელმძღვანელობა, ორგანიზაციულ-ტექნიკური მოუწყობლობა, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სისუსტე, საწარმოთა არასაკმაო მომარაგება ძირითადი და დამხმარე მასალებით.

ცალკე უნდა შეეჩერდეთ ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაობაზე. კამათში გამოსული ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გეგეშიძე და ქარხნის უფროსი ამხ. მამაცაშვილი ამბობდნენ, ქარხანამ მუშაობა გაუმჯობესო. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ქარხანა კვლავ ცუდად მუშაობს, წლითიწლობით ვერ ასრულებს გეგმას. 1948 წელს ქარხანას, 1947 წლთან შედარებით, ჰქონდა ორთქლმავლების გამოშვების შემცირებული გეგმები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დავალება მაინც ვერ შეასრულა. გარდა ამისა, ქარხანამ მნიშვნელოვნად გადაამტა პროდუქციის თვითღირებულებას, სახელდობრ 105 ათასი მანეთით. წელით გამოწვეული ზარალი 240 ათას მანეთს შეადგენს.

ყოველივე ეს უწინარეს ყოველისა, ხელმძღვანელობის სისუსტის, შრომის მტკიცე დისციპლინის უქონლობის შედეგია. ქარხანაში საკმაოდ არ არის მექანიზებული საწარმოო პროცესი, ირღვევა ტექნოლოგიური დისციპლინა. ქარხნის სუსტი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზია მისი არასაკმაო მომარაგება ძირითადი მასალებით. მაგრამ ამაში ბრალი მთელ ღვის ქარხნის ხელმძღვანელობასაც. არც ამმ. მამაცაშვილი და არც კომერციული დირექტორი ამხ. მეტრეველი არ იღებს გადამჭრელ ღონისძიებას ქარხნის მომარაგების გასაუმჯობესებლად.

ქარხანას ძველი მუშების კარგი, გამოცდილი კადრები ჰყავს, მაგრამ არც პარტორგანიზაცია და არც ტექნიკური ხელმძღვანელობა ამ კადრებთან საკმაოდ არ მუშაობს. ცუდად არის დაყენებული მუშაობა ახალგაზრდა მუშებთან. ნაცვლად იმისა, რომ წარმოებაში შეინარჩუნოს ახალი მუშები, მოაწყოს ახალგაზრდობის მუდმივი ტექნიკური სწავლება, იზრუნოს მისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, პარტორგანიზაცია ამ საქმეს ჩამორჩა.

ამ ქარხნის მუშაობაში აღინიშნული ნაკლოვანებანი ტიპიური ქალაქის სხვა ჩამორჩენილი საწარმოებისათვის.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ საწარმოო გეგმის შესრულებასთან ერთად გავაუმჯობესოთ ქალაქის საწარმოების პროდუქციის ხარისხი. საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ავარეკვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ამხ. ზ. ქურდიანის სიტყვა

(თბილისის საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტორი)

საქართველოს ბოლშევიკებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უფდიდესი შემოქმედებითი შრომა მოაწიდმეს თბილისის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს და კეთილმოწყობილ ცენტრად გადაქცეულ.

1933 წლიდან თბილისის მშენებლობა ხორცეულდებოდა დაგეგმვის და რეკონსტრუქციის გენერალური პროექტით, რომელიც შედგენილია ამხანაგ ლ. ვ. ბერიას პირადი მითითებებით.

ამჟამად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, წარმოება მუშაობა უახლოესი 15-20 წლისათვის ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შესადგენად.

როგორია თბილისის განვითარების გენერალური გეგმის ძირითადი ნიშნები?

გათვალისწინებულია თბილისის მრეწველობის შემდგომი განვითარება. დასახულია 49 ახალი დიდი საწარმოს აგება და რეკონსტრუქცია.

ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რკინიგზა. თბილისის რკინიგზის კვანძი მოქცეულია მდინარე მტკვრის ვიწრო ხეობაში. შემდგომ ხუთწლედებში მოხდება კვანძის ძირითადი რეკონსტრუქცია.

უდიდეს გავლენას ქალაქის შემდგომ განვითარებაზე მოახდენს ხამგორის წყალსაცავი. წყლის ეს მძლავრი რეზერვუარი . საშუალებას მოგცემს დიდი მასშტაბით განვახორციელოთ გამწვანების სამუშაოები და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქალაქის ენერგეტიკული ბალანსი.

ყოველწლიურად იცვამ 150-დან 200-მდე მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. მაგრამ, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნა თავის მოსსენებაში ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა, არქიტექტურის განყოფილება ჯერ კიდევ ვერ უფევს სათანადო დახმარებას ინდივიდუალურ მშენებლებს. ნაკვეთების გაცემისას ზნირია საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი.

თბილისი სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მისი არქიტექტურულად გაფორმების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

ამხ. ა. გავრილოვის სიტყვა
(დელეგატი ჯარის ნაწილისაგან)

ხელმძღვანელობენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის მითითებებით, არმიელი ბოლშევიკები მთელ თავიანთ ყურადღებას იმას აქცევენ, რომ საბჭოთა არმიის პირადი შემადგენლობა აღზარდონ ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, აამაღლონ საბჭოთა არმიის მეომრების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხი.

ამ მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტის პირად მაგალითს. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეგანაყოფების პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას ისე აწყობენ, რომ მხედველობიდან არ გამორჩეთ არც ერთი კომუნისტი, რომ მთელ მის სწავლას, მისი პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების ზრდას მუდამ კონტროლს უწევდეს ორგანიზაცია.

საბჭოთა არმია უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულია მთელ ხალხთან. საბჭოთა არმიის მეომრები მხურვალედ ეხმაურებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას, აქტიურად მონაწილეობენ ყველა პოლიტიკურ კამპანიაში, რაც ჩვენს ქვეყანაში ეწყობა.

ჩვენ ვგრძნობთ სამხედრო პარტიული ორგანიზაციებისა და ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების უფრო მტკიცე კავშირის საჭიროებას. მართალია, წარსულ წლებთან შედარებით ეს კავშირი განმტკიცდა, მაგრამ მაინც იგი დღემდე კამპანიურ ხასიათს ატარებს.

მინდა მოვაგონო კონფერენციის დელეგატებს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში გარკვეულია სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების ურთიერთობის ფორმები. ამ ფორმების გამოყენებით ჩვენ შევძლებთ დავეხმაროთ ერთმანეთს მუშაობაში, ერთობლივი ღონისძიებებით მივაღწიოთ ჩვენს საერთო მიზანს—კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება.

ამხ. პ. კილასონიას სიტყვა
(თბილვაჭრობის დირექტორი)

თბილვაჭრობამ 1948 წლის საქონელბრუნვის გეგმა ვერ შეასრულა. უწინარეს ყოვლისა ეს თბილვაჭრობის დირექციის სუსტი მუშაობის შედეგია. მან ვერ გაითვალისწინა საბარათო სისტემის გაუქმებით გამოწვეული კონიუნქტურული ცვლილებანი, საკმარისად ვერ გააფართოვა სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი და განაგრძობდა სამრეწველო საწარმოებისაგან მდარე ხარისხის პროდუქციის მიღებას.

არ შეიძლებოდა, რომ ამას გავლენა არ მოეხდინა გეგმის შესრულებაზე. მაგრამ სხვა მიზეზებიც იყო. მაგალითად, ვაჭრობის სამინისტრო არასწორად გეგმავდა საქონელბრუნვას.

ჩვენი საქონელბრუნვის გეგმით სამრეწველო საქონლის ბრუნვა ნავარაუდევი იყო 359 მილიონი მანეთის ოდენობით, საქართველოს ვაჭრობის სამინისტრომ კი გამოგვიყო მხოლოდ 298,3 მილიონი მანეთის საქონელი. ფონდები მთლიანადაც რომ აგვეთვისებინა, განსხვავება მაინც შეადგენდა 61 მილიონ მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელმა სამრეწველო საწარმოებმა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა, სამკერვალო, ფეხსაცმლისა და საფეიქრო ფაბრიკები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით უშვებენ მდარე ხარისხის პროდუქციას.

მამაკაცის პალტო და კოსტიუმები დაუდევრად არის შეკერილი. № 2 სამკერვალო ფაბრიკისაგან მიღებული მამაკაცის 50 კოსტიუმიდან დახარისხებისას 18 გადარიცხულია დაბალ ხარისხში. ჩვენ შევამოწმეთ № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკისაგან მიღებული 2.000 წყვილი ფეხსაცმელი. აქედან 1.194 წყვილი დაბალი ხარისხისა აღმოჩნდა.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა პროდუქციის ხარისხის მხრივ სარეწაო კოოპერაციაში, ინვალიდთა კოოპერაციასა და ადგილობრივ მრეწველობაში.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისა და კოოპერაციული არტელების ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ 1949 წელს სავაჭრო ორგანიზაციები სრულებით აღარ მიიღებენ მდარე ხარისხის პროდუქციას, რომელიც მყიდველის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.

ორიოდე სიტყვა საქონლის ასორტიმენტზეც. ქალაქში რატომღაც არ უშვებენ ლამაზი სახისა და კარგ ნახელავ ქალის ჟაკეტებს. არ არის მამაკაცის ჯემპერები. ზედა ტრიკოტაჟი ეს რამდენიმე წელია მხოლოდ რუხად და მოხაკისფრად იღებება. არ არის პატარა კოსტიუმები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. 11 თვეა საქართველოს არც ერთ ფეხსაცმლის ფაბრიკას არ გამოუშვია ბავშვის ფეხსაცმელი, 31-დან 34 ნომრამდე.

ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები მრეწველობის მუშაკებმა უნდა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, გააფართოონ საქონლის ასორტიმენტი, გაითვალისწინონ თავიანთ მუშაობაში მომხმარებლის მოთხოვნილება. ჩვენ კი, ვაჭრობის მუშაკები, ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭიროა, რათა ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ვაჭრობის კულტურა, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომსახურება, მთლიანად დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნილებანი, აუცილებლად უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

ამხ. მ. ჩიქვაიძის სიტყვა
(ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსი)

ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა. უკვე 1947 წლის 1 მაისისათვის ომის წლებში მწყობრიდან გამოსული ვაგონები და ტროლეიბუსები აღდგენილ იქნა. 1948 წელს მოქმედი მანქანების და ვაგონების რაოდენობით ომამდელ დონეს გადავაჭარბეთ. გაუმჯობესდა სამმართველოს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ეს მიღწეულ იქნა ჩვენი სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნის შედეგად. წესრიგზე მოყვანილია ლიანდაგები და ელექტრომეურნეობა, შეიქმნა სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი სპეციალური საამქრო.

დიდი მუშაობაა შესრულებული ჩვენი რთული მეურნეობის საამქროებში ახალ სიმძლავრეთა ასათვისებლად. ჩვენთან მოწყობილია გაზშემდუღებელი, ელექტროშემდუღებელი, საყალიბო ახალი საამქროები.

ათვისებულია ისეთი სათადარიგო ნაწილების დამზადება, რომლებიც წინათ შორიდან მოგვქონდა—მოტორების, გოგორწყვილთა ღერძების და სხვ. ფართოდ გაჩაღებულმა რაციონალიზაციამ საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა ტრამვაის ვაგონებისა და ტროლეიბუსის მანქანების ძირითადი კვანძების დამზადებისა და რემონტის ტექნოლოგიური პროცესები.

ყოველივე ამის შედეგად ბევრად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, მკვეთრად გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

შარშანდელი წლის 11 თვის განმავლობაში ჩვენ 5.100.000 მანეთი დავაგროვეთ. ამრიგად, ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ ზარალის მომცემი საწარმო რენტაბელური გახდა და ახლა მოგებას აძლევს სახელმწიფოს.

ყოველნაირად უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება, ხდება ტრამვაისა და ტროლეიბუსის გაჩერების ადგილების რადიოფიკაცია. გაჩერების ადგილებთან შენდება პავილიონები და ეწყობა სპეციალური სტენდები მიმოსვლის განრიგებით. მიმოსვლის გრაფიკი ისე დგება, რომ ტრამვაი და ტროლეიბუსი ქალაქის საწარმოებთან ჩამოდგებიან მათი მუშაობის დამთავრების დროს, ხოლო სანახაობით ორგანიზაციებთან — სპექტაკლებისა და კონცერტების დამთავრებისას. ათვისებულია ტრამვაის ახალი ვაგონებისა და ტროლეიბუსების გამოშვება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს გამოცდა და ერთიორად და უფრო მეტად იაფად ჯდება. მაგრამ მოძრაობის სამსახურის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გავაუმჯობესოთ მგზავრთა მომსახურება, აღმოვფხვრათ ვაგონების მიმოსვლის დარღვევის შემთხვევები, მივაღწიოთ წესრიგს მგზავრთა ჩასხდომის დროს. მაგრამ ამ საქმეში სხვა ორგანიზაციების დახმარებაც გვესაჭიროება. კერძოდ, მოსწავლეთა შორის დიდი აღმზრდელობითი მუშაობა უნდა გასწიონ სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა, რადგან ქალაქის ტრანსპორტით სარგებლობის წესებს განსაკუთრებით ხშირად სწორედ მოსწავლეები და სტუდენტები არღვევენ.

ამხანაგ ქ. ჩარკვიანის მიერ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივის მუშაობის კარგი შეფასება ავალებს ყოველ ჩვენგანს გააუმჯობესოს ჩვენი დიდი და რთული მეურნეობა. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მალე სავსებით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში და მივაღწიოთ იმას, რომ თბილისს სანიმუშო საქალაქო ტრანსპორტი ჰქონდეს.

ამხ. ა. ჯიმიაშვილის სიტყვა
(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში)

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიის წევრებისა და კანდიდატების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების, მათი იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობის დარგში, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის დარგში.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ გულდასმით დაკომპლექტდა პარტიული განათლების ქსელი. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომები და საქალაქო კომიტეტი უფრო ღრმად სწავლობენ პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობას, უფრო კონკრეტულად და სისტემატურად ხელმძღვანელობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლას.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და რაიკომებში ეწყობა პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა თათბირები, შემოღებულია პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების ფართოდ გაზიარება. პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური სწავლების საკითხებს ხშირად იხილავენ პარტიულ კრებებზე.

კარგად არის დაყენებული კომუნისტების პოლიტიკური სწავლება კიროვის სახელობის ქარხანაში. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. გოგლიძე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მსმენელია. იგი ხშირად ესაუბრება კომუნისტებს იმ საკითხებზე, რომლებსაც ისინი სწავლობენ. ქარხნის დირექტორი ამხ. მელაძე, საამქროს უფროსი ამხ. დავითაშვილი, ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ამხ. ნადიროვი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები პროპაგანდისტები არიან. პარტიული ორგანიზაცია ეხმარება და ამოწმებს წრეების მუშაობას და თვითეული კომუნისტის პოლიტიკურ სწავლას.

სულ სხვა მდგომარეობაა იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები თვითონ არ უჩვენებენ ბეჯითი თეორიული სწავლის პირად მაგალითს. განა შეუძლია, მაგალითად, კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ფარჯიანაძეს არსებითი გავლენა მოახდინოს პარტიის წევრთა და კანდიდატთა და უპარტიო აქტივის მარქსისტულ-ლენინურ მომზადებაზე, როცა იგი თვითონ არ სწავლობს და პარტიის რიგითს წევრებს ჩამორჩა? ინსტიტუტის ბევრმა კომუნისტმა, უპარტიო აქტივისტმა დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი. ზოგიერთი მათგანი იქ ამჟამად სწავლობს, ხოლო ამხ. ფარჯიანაძე, როგორც გამოირკვა, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველი თავის შესწავლას არ გასცილებია.

კომუნისტების დამოუკიდებელი სწავლისადმი კონტროლისა და დახმარების მნიშვნელოვანი საშუალებაა კარგად მოწყობილი კონსულტაცია. რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ კონსულტანტთა შორის ბევრია ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკი — ადამიანები, რომელთაც დიდი თეორიული ცოდნა და პროპაგანდისტული მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. კარგად არის მოწყობილი საკონსულტაციო მუშაობა სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნისა და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში.

პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობაზე. პროპაგანდისტთა შორის ბევრია ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა მუშაკი, ინტელიგენციის წარმომადგენელი, დიდი ცოდნის, პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების მქონე კომუნისტები. საჭიროა უზრუნველვყოთ წრეებისა და პოლიტსკოლებისადმი ზუსტი და ყოველდღიური ხელმძღვანელობა, გავუწიოთ პროპაგანდისტებს კონკრეტული და კვალიფიციური დახმარება. ეს დახმარება მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რაც უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებენ პროპაგანდისტულ მუშაობაში პარტიის რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგრამ, გარდა სტალინის რაიკომისა, სადაც თითქმის ყველა პასუხისმგებელი მუშაკი ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას უშუალოდ კომუნისტთა მასაში, ვერც ერთი რაიკომი ვერ დაიკვეხნის წარმატებებს ამ საქმეში.

ინტელიგენციასთან მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ბოლშევიკური პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მაღალი პარტიულობისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ გამხდარა ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და შემოქმედებითი ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობად.

რამდენიმე სიტყვა სააგიტაციო მუშაობაზე. აგიტაცია საწარმო-დაწესებულებებში, ქალაქის მოსახლეობაში უფრო ქმედითი გახდა. აგიტატორთა შემადგენლობა შეივსო პარტიულ-სამეურნეო აქტივის, ინტელიგენციის, სტახანოველთა საუკეთესო წარმომადგენლებით. შეძენილია სააგიტაციო მუშაობის დიდი გამოცდილება, შემუშავებულია მასობრივი მუშაობის ახალი ფორმები. საბჭოების არჩევნების პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მიერ შეძენილი გამოცდილების გამოყენებით აგიტატორებმა ახლა უნდა გააჩაღონ დიდი მუშაობა სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველდღიურად დაეხმარონ აგიტატორებს, წარმართონ მათი მუშაობა.

ამხ. ბ. კიზირიას სიტყვა
(მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე)

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ სტალინური კანონის განხორციელების, სკოლებში სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა სახალხო განათლების დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მოსწავლეები სკოლებში საფუძვლიან და მტკიცე ცოდნას იძენენ. ამას ადასტურებს გამოსაშვები გამოცდების შედეგები.

მაგრამ სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სასკოლო ასაკის 200-ზე მეტი ბავშვი არ სწავლობს. ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტი შემცირდა.

სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა დიდი რიცხვი მოწმობს სწავლების არასაკმაო ხარისხს და სუსტ სასკოლო დისციპლინას. 79.356 მოსწავლიდან შეფასება „2“ ერთ და მეტ საგანში აქვს 16.553 მოსწავლეს.

პედაგოგთა ნაწილს საკმაო მომზადება და კვალიფიკაცია არა აქვს, ხოლო სახალხო განათლების ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ მათი ზრდისათვის.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს თბილისის პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა და აღდგენილ იქნას ასეთივე კაბინეტები ქალაქის რაიონებში. ეს ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ სწავლების ხარისხი, გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გადაჭრით განვამტკიცოთ დისციპლინა სკოლებში. გარდა ამისა საჭიროა მთლიანად უზრუნველვყოთ სკოლები სახელმძღვანელოებით, მერხებით, დაფებით.

რამდენიმე სიტყვა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ახლახან შექმნილი კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების მუშაობაზე, რომელიც განაგებს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, კულტურისა და დასვენების პარკებს და კონტროლს უწევს საკლუბო დაწესებულებათა საქმიანობას. შარშან ამ განყოფილებამ შეამოწმა ბიბლიოთეკების მუშაობა. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა ბიბლიოთეკების მუშაკთა საქალაქო თათბირზე. ამ თათბირზე შემუშავებული ღონისძიებანი დაამტკიცა ქალაქის საბჭოს აღმასკომმა. მათი განხორციელება დაგვეხმარება ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. განყოფილების წინაშე დიდი ამოცანები დგას ქალაქის მოსახლეობის კულტურული მომსახურების დარგში და მას სერიოზული დახმარება უნდა გაეწიოს.

პროფესორ ქ. ერისთავის სიტყვა
(თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი)

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა სერიოზული მიღწევები მოიპოვა როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მუშაობაში. სტუდენტთა 90 პროცენტზე მეტს წარმატება აქვს სწავლაში. როგორც ცნობილია ინსტიტუტის სასწავლო ბაზები გაფანტულია მთელ ქალაქში და დიდი მანძილით დაშორებულია ერთიმეორეს. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა 96-98 პროცენტი წესიერად ესწრება ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას.

ინსტიტუტის წარმატებანი უწინარეს ყოვლისა უნდა აიხსნას იმით, რომ იგი უზრუნველყოფილია პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრებით. 463 პროფესორიდან და მასწავლებლიდან 60 პროცენტზე მეტს სამეცნიერო ხარისხი აქვს. მათ შორის 97 დოქტორია, რომლებმაც შარშან 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი დაწერეს.

აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალი დონე უწინარეს ყოვლისა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სწორი მარქსისტულ-ლენინური აღზრდის შედეგია.

ინსტიტუტის დირექცია და პარტიული ორგანიზაციები ეწევიან პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა მიღწევების პროპაგანდას, დიდ ყურადღებას უთმობენ მიჩურინ-ლისენკოს მოწინავე მოძღვრების შესწავლას. საბჭოთა მეცნიერებამ მემკვიდრეობით მიიღო ისეთ კორიფეთა მოძღვრება, როგორიც იყვნენ ლომონოსოვი, მეჩნიკოვი, მენდელეევი, პავლოვი, თარხნიშვილი, ბეხტერევი, რომელთა მეცნიერულ პრინციპებსა და დებულებებს ხშირად ისაკუთრებენ ბურჟუაზიული მეცნიერები.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა მოვალეობაა საბჭოთა მეცნიერების პოპულარიზაცია, მისი პრიორიტეტისათვის ბრძოლა.

ჩვენმა ახალგაზრდობამ ბოლომდე უნდა შეიგნოს, რომ სწორ მეცნიერულ დასკვნებამდე იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივა, თუ თავის გამოკვლევებს საფუძვლად დაუდებს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად პრინციპებს.

აქედან გამომდინარეობს ამოცანები სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა, რომელიც მოწოდებულია მოამზადოს საბჭოთა მეცნიერების ახალი კადრები.

ინსტიტუტმა გამოუშვა 94 სადოქტორო, 322 საკანდიდატო დისერტაცია და 8.000-მდე მეცნიერული ნაშრომი. საწუხაროდ ვერ ვიტყვით, რომ ყველა ეს ნაშრომი შეესაბამებოდეს მათდამი წაყენებულ მაღალ მოთხოვნას. საჭიროა განუწყვეტლივ გავაუმჯობესოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხი. ამ ამოცანას წარმატებით რომ გაართვას თავი, ინსტიტუტს პრაქტიკული დახმარება ესაჭიროება.

სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გაჩაღებას სერიოზულად უშლის ხელს ცენტრალურ სამედიცინო ორგანოებში მეცნიერული ნაშრომების იშვიათი გამოქვეყნება. ამ ნაშრომთა ხშირად გამოქვეყნება კი საჭიროა მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად მოძმე რესპუბლიკების მეცნიერთა შორის. საჭიროა აგრეთვე განახლდეს ქართული სამედიცინო ჟურნალის გამოცემა.

ამხ. მ. მეგრელიშვილის სიტყვა
(საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი)

დღითი დღე მატულობს თბილისის ახალგაზრდობის შრომითი აქტივობა. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები არსებითს დახმარებას უწევენ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს. მარტო 1948 წლის 10 თვეში 400-ზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ შეასრულა ორი წლის ნორმა. დაახლოებით 400 ახალგაზრდა მუშამ ამავე პერიოდში დაამთავრა ხუთწლიანი გეგმა და ახლა მომდევნო წლების ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების ანგარიშებმა და არჩევნებმა, რომლებმაც კომკავშირელთა დიდი აქტივობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარეს, ხელი შეგვიწყეს გამოგვემჟღავნებინა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების მხრივ მათდამი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, დაგვესახა მათი აღმოფხვრის გზები.

საჭიროა კომკავშირის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები დავუახლოოთ პირველადს ორგანიზაციებს, გავხადოთ მათი ხელმძღვანელობა უფრო ოპერატიული, მიზანსწრაფული, გავაძლიეროთ მუშაობა ახალგაზრდა ქალთა შორის, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ისინი ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კომკავშირული კადრების აღზრდას. საქართველოს კომკავშირის რაიონულმა, საქალაქო კონფერენციებმა და ყრილობამ განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა ახალგაზრდობაში. ავიღოთ, მაგალითად, პოლიტიკური განათლების საკითხი. კომკავშირელთა მნიშვნელოვანი ნაწილი —30 პროცენტზე მეტი არ სწავლობს. ეს ძირითადად ის ახალგაზრდობაა, რომელსაც საკმაო ცოდნა და მომზადება არა აქვს, რათა დამოუკიდებლად შეისწავლოს პარტიის ისტორია. ეს ახალგაზრდობა უნდა ჩავაბათ პოლიტიკურ წრეებში. ამ წრეების მოწყობაში, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევაში ჩვენ პარტიული ორგანიზაციების დიდი დახმარება გვესაჭიროება.

ჩვენ ფართო ტექნიკური პროპაგანდა უნდა გავაჩაღოთ ახალგაზრდობაში, მოვაწყოთ ტექნიკური წრეები, შეხვედრა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებთან, სტახანოველებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან, მოვაწყოთ ახალგაზრდობის ექსკურსიები წარმოებაში. ჩვენ იმის იმედი გვაქვს, რომ სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები დაგვეხმარებიან ამაში, ხელს შეუწყობენ ტექნიკური კაბინეტების, ლაბორატორიების შექმნას, ახალგაზრდობისათვის კვალიფიციური ტექნიკური კონსულტაციის მოწყობას.

კონფერენციაზე მოყვანილ იქნა მუშახელის დენადობის მრავალი ფაქტი, ამასთან ლაპარაკი ძირითადად იყო ახალგაზრდა მუშათა შესახებ, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებელთა კურსდამთავრებულების შესახებ. დენადობა იმით აიხსნება, რომ საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდობისათვის, არ ეხმარებიან მას კვალიფიკაციის ამაღლებაში. ახალგაზრდა მუშების თავისუფალი დრო წესიერად არ არის გამოყენებული. ზოგიერთი საწარმოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ერთი ნაწილის ჩამორჩენილი განწყობილების წინააღმდეგ, რომლებიც ჯეროვნად არ აფასებენ წარმოების ახალგაზრდა მუშაკთა შესაძლებლობას, არიდებენ მათ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობას.

1948 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა განიხილა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხი. პლენუმის განსახილველად ამ საკითხის დაყენება ახალგაზრდობის აღზრდისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ზრუნვის კონკრეტული გამოვლინება იყო. პლენუმმა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო კომკავშირის მუშაობის ძირითად ნაკლოვანებებს, მოსთხოვა მათ უფრო გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

პლენუმის მითითებათა რეალიზაციით პარტიულმა ორგანიზაციებმა არსებითი დახმარება გაუწიეს კომკავშირს. ეს დახმარება დღითი დღე მტკიცდება. იგი იმის საწინდარია, რომ ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანები წარმატებით გადაწყდება.

ამხ. ი. ჩოჩიას სიტყვა
(კიროვის რაიკომის მდივანი)

რაიონის მრეწველობამ 1948 წლის საწარმოო გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულა. მეტმა წილმა საწარმოებმა და არტელებმა წარმატებით განახორციელეს თავიანთი ვალდებულებანი ზეგეგმითი დაგროვების დარგში.

მაგრამ გასული წლის სამეურნეო შედეგები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, უკან რომ არ დავეწიეთ ისეთი დიდი საწარმოების ცუდ მუშაობას, როგორიცაა ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“, № 1 და № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკები, № 1 ტყავის ქარხანა, 26 კომისრის სახელობის არტელი.

ამ საწარმოთა მუშაობას დიდი ყურადღება დაეთმო რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. კონფერენციამ დაავალა რაიკომის ბიუროს გამოარკვიოს მათი ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები და მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რომ უზრუნველყოს მათ მიერ საწარმოო დავალებათა შესრულება.

ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ იგი მომზადებული არ არის ზამთრის პირობებში სამუშაოდ. ცუდი საფინანსო მდგომარეობის გამო, რაც იმის შედეგი იყო, რომ ხელმძღვანელობა უდარდელად ეკიდებოდა ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, ფაბრიკას ნედლეულის შეძენის შესაძლებლობა არ ჰქონდა. სისტემატურმა გაცდენამ ის გამოიწვია, რომ დეკემბრის გეგმა მხოლოდ 54 პროცენტით შესრულდა.

ეს საწარმო ღრმა გარღვევიდან რომ გამოვიყვანოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა განვამტკიცოთ მისი სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა.

№ 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის ჩამორჩენის ერთადერთ მიზეზად დირექცია თვლიდა იმას, რომ იგი უზრუნველყოფილი არ იყო ტყავეულითა და სხვა მასალით. მაგრამ ამ მასალის მიღების შემდეგაც ფაბრიკამ გეგმა ვერ შეასრულა. საჭირო გახდა საკონვეიერო სისტემის წესრიგზე მოყვანა, შრომის სწორი ორგანიზაცია, კვალიფიციური კადრებით საწარმოს უზრუნველყოფა, მანქანების მოვლაში გაუპიროვნების ლიკვიდაცია, დამამზადებელი საამქროს მუშაობის ძირეულად გარდაქმნა, რომ ჩამორჩენა დაეძლიათ. პარტიის რაიკომის ჩარევისა და კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ ფაბრიკამ დაიწყო ყოველდღიურად 700-800 წყვილი ფეხსაცმლის გამოშვება, ნაცვლად 400-500 წყვილისა, როგორც ეს წინათ იყო.

ბრძოლა მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისათვის მოითხოვს, რომ პარტიის რაიკომმა კონკრეტულად, ოპერატიულად უხელმძღვანელოს რაიონის თვითეული საწარმოს მუშაობას. ახლა არ შეიძლება ისე ხელმძღვანელობდე, რომ ფინანსებში, დაგეგმვაში, სამეურნეო ანგარიშში არ ერკვეოდე.

რამდენიმე შენიშვნა პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა მუშაობაზე. ზოგიერთი მათგანი საკმაო ყურადღებას არ აქცევს რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს. ნაკლებად გვეხმარება თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილება. შემდეგში ამ განყოფილებამ პერიოდულად უნდა მოიწვიოს რაიკომების კადრების განყოფილებათა მუშაკები, უფრო ხშირად გაუწიოს მათ ინსტრუქტაჟი. სასურველია, რომ საქალაქო კომიტეტის განყოფილებებმა თავიანთი მუშაობის გეგმები გააცნონ რაიკომების სათანადო განყოფილებებს. ეს ძალიან დაგვეხმარება მუშაობაში.

გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ იშვიათად ბეჭდავენ სტატიებსა და კონსულტაციებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ცალკეულ ნაწარმოებთა მიხედვით, ნაკლებად აქვეყნებენ მეთოდურ მასალებს წრეებისა და პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად.

მოსავლის განაწილებისათვის მზადება მეტ ყურადღებას მოითხოვს

ახალი წესით შრომადღეების აღრიცხვასა და დარიცხვას დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. ამ დარგში მეტად სერიოზული სამუშაოა ახლა, როცა კოლმეურნეობები აჯამებენ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს და ემზადებიან შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის.

შემოწმებამ ცხადყო, რომ თელავის …

… მა იმუშავეს ვენახის თოხნაზე. ნამუშევარი აღრიცხეს ერთად, გაყვეს თანაბრად და თვითეულს დაუწერეს 0,19 შრომადღე.

სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში არ ჩქარობენ შრომადღეების შეჯამებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნოემბერში გამომუშავებული შრომადღეები მეხუთე და მეოთხე ბრიგადების წევრებს 25 …

დეკემბერსაც არ ჰქონდათ დარიცხული. მიუხედავად იმისა, რომ 19 აპრილის დადგენილება გვაფრთხილებს ყოველდღიურად წარმოებდეს ბრიგადებსა და რგოლებში შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა და უწყისებში გადატანა, აქ ამ წესს არღვევენ. ზოგიერთ ბრიგადას დეკემბრის მესამე და მეოთხე ხუთდღიურში ნამუშევარი …

… პროდუქტები ბლომად გასცეს და ყველა განკარგულებას წინასწარ დააწერეს 1949 წლის 1 იანვარი.

მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ შრომის ორგანიზაციისა და მოსავლის სწორად განაწილების საქმე ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა რეგისტრაცია

თბილისი. მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის რაიონული საბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კრებებმა. …

… დიდატებად: სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ვ. ელისაბედაშვილი, ავტოსარემონტო ქარხნის უფროსი ოსტატი ს. ჭელიძე, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ვ. შაუთიძე და სხვები, სულ …

… ჩვენო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად ივანე მიხეილის-ძე სიორიძე — პირველი უბნის სახალხო მოსამართლე; სახალხო მსაჯულთა კან- …

… ჩვენო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად რეგისტრირებულია ნიკოლოზ ბესარიონის-ძე შარანგია, ხოლო მესამე საარჩევნო ოლქში ნური ავიძა.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 12 იანვარი, (საკდესი). თემეა ჰოლანდიის მთავრობის აგრესია ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ უკვე მხილებული და დაგმობილია მთელი მსოფლიოს წინაშე და საჭიროა გადამწყვეტი და სასწრაფო ღონისძიებანი აგრესიის ალაკვეთად, უშიშროების საბჭოში კვლავ გრძელდება დისკუსია. საბჭოს წინანდელ სხდომებზე ცოტა ფაქტი რიდი იყო მოყვანილი, რომლებიც მოწმობენ არა მარტო იმას, რომ ჰოლანდიის მთავრობის წიაღშია აგრესიაში ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ადასტურებენ, …

… ბის აღმოსავლეთზე, და მოჰყვა ამერიკის გეგმების ჩამოყალიბებას ინდონეზიის მიმართ. ეს გეგმები, ცხა უნდა ითქვას, მეტად მოგაგონებენ იმ პოლიტიკას, რომელიც შეერთებულმა შტატებმა ახლო წარსულში უკვე გამოიყენეს ფილიპინების მიმართ, რომელიც თემეა ფორმალურად ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს სავსებით ემორჩილება შეერთებულ შტატებს. ეს გეგმები თვალსაწინებენ ერთმოწოდებულ „ინდონეზიის შეერთებული შტატების" შექმნას, რომელთაც ჰოლანდიის მთავრობა მოჰყავს …

… ოკუპანტებს აჯერებდა, უარს ნუ იტყვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობაზე ჰოლანდიის სამხედრო ხელისუფალთა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის შეთანხმებში.

სსრ კავშირის დელეგატმა ი. ა. მალიკმა თავის სიტყვაში მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ უშიშროების საბჭომ იმთავითვე არ მიიღო გადამწყვეტი ღონისძიებანი ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ ჰოლანდიის მთავრობის აგრესიის ალაკვეთად. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატ- …

… მაგრამ თავის სიტყვაში უშიშროების საბჭოს გუშინ შემდგარ სხდომაზე ამერიკის დელეგატმა ჯესეპმა გულდასმით აუარა გვერდი ჰოლანდიის მთავრობის აგრესიისათვის ამერიკის მიერ მხარდაჭერის ყველა ფაქტს. ჯესეპი ცდილობდა ამ ფაქტებისათვის ჩამოეშორებინა საბჭოს წევრთა ყურადღება და დელეგატები დაერწმუნებინა, რომ შეერთებული შტატები თითქოს არ იწონებენ ჰოლანდიის მთავრობის მოქმედებას. იგი შეეცადა გაემართლებინა შეერთებული შტატების პოლიტიკა ინდონეზიის საკითხში და პოზიცია ამერიკის დელეგაციისა, რომელიც დაადგა ინდონეზიაში ჰოლანდიის აგრესიის მიჩქმალვის გზას.

ჯესეპს არ შეუტანია რაიმე წინადადება, მიმართული ჰოლანდიის აგრესიის შესაწყვეტად და ინდონეზიელი ხალხისათვის მისი შედეგე- …

… კავშირდეს ინდონეზიის საკითხის „საერთო მოწესრიგებას". ნორვეგიის დელეგატი წინადადებას აძლევდა ინდონეზიის რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, დაპატიმრებული ჰყავთ ჰოლანდიის ხელისუფალთ, დაეწყოთ მოლაპარაკება აგრესორთან, რომლის ჯარებმაც რესპუბლიკის ტერიტორია დაიკავეს. ამასთან იგი ამშვიდებდა ჰოლანდიის მთავრობას და გადაკვრით აგრძნობინებდა, რომ არაფრის არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან, თუ რესპუბლიკის წარმომადგენლები საკმაოდ დამყოლი არ აღმოჩნდებიან, შეიძლება მათზე გავლენის მოხდენა.

ჩინეთის დელეგატი მოუწოდებდა — ნუ ვეძებთ ინდონეზიაში არსებული მდგომარეობის დამნაშავეებსო. მან გაიმეორა ამერიკის დელეგატის მსჯელობა ინდონეზიაში არჩევნების ვადების დაწესების შესახებ და ჰოლანდიელ …

… მოვითხოვთ სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ინდონეზიის რესპუბლიკის დაპატიმრებული პოლიტიკური მოღვაწეების განთავისუფლება, აგრეთვე ვაიძულოთ ჰოლანდიის აგრესიული მთავრობა თავისი ჯარები გაიყვანოს ინდონეზიის რესპუბლიკის ტერიტორიიდან და ვაიძულოთ იგი პატივი სცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს. მხოლოდ ამ გზას მივყავართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებისაკენ, უშიშროების საბჭოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლებისაკენ, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ".

სსრ კავშირის დელეგატის გამოსვლის შემდეგ დაიხურა უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭოს შემდეგი სხდომა ინდონეზიის საკითხზე შედგება 14 იანვარს.

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობამ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას

თელ-ავივი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც გუშინ საღამოს რადიომ „ისრაელის ხმამ" გადასცა, ისრაელის მთავრობა ითხოვს სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭოს სხდომა, რათა განიხილონ სამხრეთ პალესტინის კონფლიქტში დიდი ბრიტანეთის ჩარევის გამო. ინგლისს ბრალად ედება, რომ მან ჯარები გაგზავნა აქაბას და აგრეთვე მისი მზვერავი თვითმფრინავები პროვოკაციულად დაფრინავდნენ ისრაელის საბრძოლო პოზი- …

… ციებზე. გარდა ამისა, ისრაელის საჩივარში მოხსენიებულია ცნობები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ინგლისის შეიარაღებული ძალების მოძრაობის შესახებ. საჩივარში ისრაელი აღნიშნავს, რომ მთელი ეს მოქმედება, რასაც თან ახლავს ინგლისური პრესის ერთი ნაწილის კამპანია, წარმოადგენს მზადებას შეიარაღებული ჩარევისათვის და რომ ინგლისის მთავრობას დღემდე არ მოუცია არავითარი პირობა, რომ ასეთი ჩარევა არ მოხდება.

ბევინისა და შუმანის მომავალი შეხვედრა

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის ცენტრალური ბიურო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა მიიღო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინის მიწვევა ჩავიდეს ლონდონს და განიხილოს საკითხები, „რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ ორივე მთავრობისათვის". შუმანი ინგლისში 13 იანვარს ჩავა.

პოლონეთის სეიმში

ცირანკევიჩის გამოსვლა

ვარშავა, 11 იანვარი. (საკდესი). გუშინ შედგა პოლონეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო სეიმის პლენარული სხდომა.

მოხსენება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ცირანკევიჩმა, რომელმაც სეიმს მოახსენა პოლონეთის ეკონომიკის ყოველწლიური ბალანსი, აგრეთვე მთავრობის გეგმები პოლონეთის ეკონომიკის, კულტურის, განათლების, შრომისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

შემდეგ პოლონეთის ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ფინანსთა მინისტრმა დომბროვსკიმ.

გეგმიანობის ცენტრალური სამმართველოს თავმჯდომარემ სეიმს წარუდგინა 1949 წლის სახალხო-ეკონომიური გეგმა.

საბჭოთა ელჩი ფხენიანს ჩავიდა

11 იანვარს ქალაქ ფხენიანს ჩავიდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. ტ. თ. შტიკოვი საელჩოს შტატთან ერთად. ფხენიანის აეროდრომზე ამხ. შტიკოვს მიეგებნენ კორეის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ დუ ბონი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პაკ ხენ ენი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე კორეის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრისას ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები (საკდესი).

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, გუშინ საფრანგეთის ეროვნული კრების სხდომის განახლების შემდეგ განხილულ იქნა ეროვნული კრების ახალი ბიუროს შემადგენლობის საკითხი.

თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ განაცხადა, რომ მან კომუნისტური ჯგუფისაგან პროტესტი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ჯგუფი ეროვნული კრების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია, მას არ ეძლევა პირველი ვიცე-თავმჯდომარის პოსტი, რომელიც სამართლით მას ენდა ეკუთვნოდეს.

კომუნისტური ჯგუფის მიერ წარდგენილი პროტესტი უარყოფილ იქნა 344 ხმით 182 ხმის წინააღმდეგ და ეროვნული კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა ეროვნული კრების ბიუროს საბოლოო შემადგენლობა.

ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარეებად არჩეული არიან შემდეგი პირნი რიგის მიხედვით: ლე ტროკერი — სოციალისტი, ჟაკ დიუკლო — კომუნისტი, პუანსო-შაპიუ — „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა", მადლენ ბრაუნი — კომუნისტი, როკლორი — დამოუკიდებელი რესპუბლიკელი, რობერ პრიჟანი — „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა".

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკაბინეტში

14 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მოეწყობა კონსულტაცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე.

კონსულტანტი ამხ. სიგუა.

15 იანვარს, დილის 9 საათზე, რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკთათვის შედგება სემინარი თემაზე: „ამხანაგ სტალინის ნაშრომები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში". (პირველი ლექცია). სემინარს ჩაატარებს ამხ. გორგილაძე.

ლექცია

18 იანვარს, საღამოს 8 საათზე, წიგნემკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, დოცენტ გ. მარუაშვილის ლექციას თემაზე: „ბრუცელოზი და მისი მკურნალობა" (მალტის ცხელება).

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 14-I „დარეჯან ცბიერი" (7 აბ. 6 წარმ.), 15-I „პიკის ქალი" (12 აბ. 6 წარმ. აზრიკანის მონაწ.);

რუსთაველის სახელობის — 14-I „პირველი ნაბიჯი" (აბ. გარეშე), 15-I „ხადგურის უფროსი" (11 სერ. 5 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 14-I „ნინოშვილის გურია" (17 სერ. 5 წარმ.), 15-I „1917 წელი" (18 სერ. 4 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 14-I „სამთა სიყვარული" (აბონ. გარეშე), 15-I „აშუღ-მურადი" (4 აბ. 6 წარმ.).

მესამე შესატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს, 14 იანვარს

პრემიერა

მე-2 ციკლის

ახალი პროგრამა

რსფსრ დამსახურებული არტისტის

კიოს

… რუსთაველის პროსპექტზე — მაღაზია „წყლები" და პლეხანოვის პროსპექტზე — მაღაზია № 3.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო …

სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 25 იანვარს … რიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) ბიოლოგიურ მეც… ვებლად ბეტი იაკობის ასული ალპერ-იულ… „К вопросу об ускоренном методе санитарно-… ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეც… თაძე და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოც… მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედ… ხნიშვილის ქუჩა № 2.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა…

აცხადებს, რომ ა. წ. 26 იანვარს, დღის 12 საათზე … მიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შ… საჯარო სხდომა, რომელზეც ბიორგი გრიგოლ… ნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსა… „De innervatione testis et funiculi spermatici Canis… ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებ… მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი … მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ო. კვაჭაძე. დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის …

საქართველოს სსრ საავტომობილო ც… რალური ავტოსკოლა (ქ. თბილისში) …

… ნის ახალ კუზინასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

… ლაქე ალექსანდრა ფილიპეს ახალ ილიტინსთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

აკაკი, შალვა, საშა გახოკიძეები ოჯახებით იუწყებიან ბებიის ელისაბედ ფაილოძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-I სოფ. ხუნ- …

… მარო, ძმა ლევან, სიძე ლევან, რძალი თამარ, ძმისწული ლილი იუწყებიან, რომ 16.I, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია გორგი ბართლომეს-ძე ვარდიაშვილის პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, ხამდივნის—3.06.88, განყოფილებების: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობისა — 3.51.81, სტამბის დირექტორი—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 119.000 უჩ 01261